საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრიგოლ I

გრიგოლ I დ ი დ ი (Gregorius Magnus) (დაახლ. 540, რომი, – 12. III. 604, იქვე), რომის პაპი 590-იდან, ანციუსების ძვ. რომაელი პატრიციების გვარიდან.

ატარებდა მოქნილ პოლიტიკას. საფუძველი ჩაუყარა პაპების საერო ხელისუფლებას და განამტკიცა პაპობის პრიმატი დასავლეთის ქვეყნებზე. დიდი დამსახურება მიუძღვის ლიტურგიის რეფორმაში. შექმნა გრიგორიანული ქორალი.

გ. I-თვის წერილი მიუწერია ქართლის კათოლიკოს კირიონ I-ს. შემონახულია პაპის საპასუხო წერილი (მ. თამარაშვილის აზრით, იგი 596 უნდა იყოს დაწერილი). როგორც ჩანს, კირიონ I-ს გ. I-თვის ნესტორიანული მწვალებლობის (იხ. *ნესტორიანობა*) გამო მიუმართავს.

გ. I-ის „დიალოღონი" 1011 ქართულად უთარგმნია ექვთიმე მთაწმიდელს.

გ. ჟორდანია